საქართველო

8073-01-2-202003051909

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/8073
05/03/2020

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოціალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ასლი: სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან კარანაძეს

ქალბატონო თამარ,

როგორც მოგეხსენებათ, ირანში კორონა ვირუსის გავრცელების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეების გარკვეული რაოდენობა დღემდე ჩარჩენილია ირანში. ბოლო დღეებში ზოგიერთი მათგანის გამოყვანა მოხერხდა სახმელეთო გზით. თუმცა, რამდენიმე კვლავ დარჩენილია ქ. თეირანში.

დღეს, 5 მარტს, მთავრობის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყეტილება, რომ თეირანში მყოფი საქართველოს მოქალაქეები გადმოყვანილ იქნან საჰაერო ტრანსპორტით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დღეებში შექმნილი ვითარების გამო, ირანთან ურთიერთობა გარკვეულ წილად დაიძაბა. საგარეო საქმეთა სამინისტროში ირანის ელჩთან დღეს გამართული შეხვედრის დროს ირანის ელჩმა დაბეჯითებით გვთხოვა აღმოვუჩინოთ დახმარება საელჩოს რამდენიმე თანამშრომლის თბილისში ქართველებთან ერთად ჩამოყვანასთან დაკავშირებით.

პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, ზემოთ ხსენებულ საქართველოს მოქალაქეებთან ერთად მოხდეს ირანის საელჩოს რამდენიმე თანამშრომლის ტრანსპორტირება თვითმფრინავით თბილისში. ირანის საელჩოს თანამშრომლები ჩამოსვლისთანავე გაივლიან დადგენილ პროცედურებს და მოთავსდებიან კარანტინში.

პატივისცემით,
ალექსანდრე ხვთისიაშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge